

პული, ამდენ  
ა ფენომენი  
ის, დასაბაზ  
მთავარია, მა  
აშეალებას.  
სად ესთეტიკ  
მეტაფორა  
წეტია და მ  
ფართო  
ინი მეტაფ  
ებით მეტაფ  
ში კი ადა  
ეა შერწყმ  
ზური, ორგა  
მხატვრულ  
როლადაა  
ეურ-ლირულ  
უური გარე  
ის ურთიერ

viii

## URELL- NDLAGE

d die metaph  
sondern als e  
iöpferischen T  
Kulturgeschicht  
er Metapher, m  
enden. Eindeut  
der Metapher m  
hen) Denken  
englische Real  
ismus, Positiv  
ismus. Für die  
r Metapher nicht  
h geradezu e

n Gebrauch der  
Denken sind der  
Metapher seit  
mittel zur Wiss  
(Nietzsche). Die  
ein Ausdruck  
sten Denkmittel  
ensten Schichten  
id. Die Metaph  
erlauben, "dem  
n" und macht das  
gleich an diese  
r keinesfalls das  
es erweitert, so-

st als Endergebnis  
zu verstehen und  
Regel. Trotzdem  
zwischen einem  
irtschaftlichen Ge  
lt werden.

## თამარ ქაგიტელაშვილი დასავლეთი ეპოქის ცენტრული მეტაფორა

### შესაფალი

ჭართველები რომ „აზიელები“ არა  
უნი, ჩვენთვის დღესავით ნათელია. ამას-  
თ ადვილი შესამჩნევია მუდმივი სურვი-  
ლი - ვიწოდებოდეთ „ევროპელებად.“ ამ  
თვალი ბანალურს დღეს ძნელად თუ ვი-  
ჰოვთ რამეს, ვინმეს მონათვლა „აზია-  
ტიკ“ კი სულაც არ არის პიროვნებისადმი  
სიმათეების გამოხატვის ნიშანი. ჩვენთვის  
ურთმნიშვნელოვნად ცხადია - ჩვენ ევ-  
როპელები ვართ (მთელი რიგი „ნიშნების“  
კამ) და არა მარტო არა ვართ „აზი-  
ები“, არამედ ცხადია კიდეც იყო „აზი-  
ები“.

დასავლეთი და აღმოსავლეთი - კაცობ-  
რიბის ცნობიერებაში არსებული მუდმივი  
ოპოზიცია - წარმოგვიდგება ორი განსხვა-  
ვებული კულტურული სივრცის სახით.  
თვისთავად ეს დაყოფა, რა თქმა უნდა,  
პირობითია, რადგან არც ერთი მათგანი არ  
წარმოადგენს ეთნიკური (და, შესაბამისად,  
კულტურული) თვალსაზრისით ერთგვარო-  
ვან სივრცეს. მეტიც, ისინი სწორედ ერთ-  
მანეთთან მიმართებაში ყალიბდებიან მეტ-  
ნაკლებად მკაფიოდ გამოკვეთილ მთლია-  
ნობად. ამ ორი სამყაროს ტიპოლოგია და  
მეცნიერული შესწავლა მთლიანად დასავ-  
ლერი სამყაროს ინიციატივაა, რამაც ბევ-  
რი რაგ განსაზღვრა მათზე შეხედულების  
ფორმირების თვალსაზრისით. ეს შეხედუ-  
ლება ხშირად არ თანხედებოდა არსებულ  
სინამდევილეს (ეს განსაკუთრებით აღმო-  
სიავლეთზე ითქმის). ამ საკითხზე საუბრი-  
სას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ გ. ვ.  
ფ. პეგელს. პეგელის მიხედვით, აბსოლუ-  
ტური გონი თავის პირველად გამოვლი-  
ნებას აღმოსავლეთში პოვებს, აქედან იწ-  
ვება მისი ევროპულის გზა, რომელიც  
უკავება დასავლეთში. რადგან ამჯერად  
სრულდება დასავლეთში. რადგან ამჯერად  
კეგელის კონცეფციის დეტალური ანალი-

<sup>1</sup> თვითონ ასეთი უარყოფითი სტერეოტიპის გა-  
ჩენა, როგორიც არის „აზიატი“, „რუსეთის გავ-  
ლენის შედეგი შეძლება იყოს. რუსულ კულ-  
ტურაში ასეთი სტერეოტიპის შემჩნევა როუ-  
ტერაში არ არის. საკმარისია თუნდაც XIX ს-ის  
და არ არის. საკმარისია თუნდაც XIX ს-ის  
ტუსული ლიტერატურის გახსენება (სწორედ  
ამ პერიოდიდან განიცდის ქართული კულტურა  
რუსულის მძღავრ გავლენას).

ზი ნაშრომის ინტერესებს სცილდება, უბ-  
რალოდ იმის თქმით შემოვიფარგლებით,  
რომ მან მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა  
შემდგომი პერიოდის შეხედულება ამ სა-  
კითხზე. კ. იასპერსთან კი უკვე დგას აღ-  
მოსავლეთისა და დასავლეთის წარმოშო-  
ბის საფუძვლებისა და დროის განსაზღვ-  
რის, აგრეთვე, რაც ყველაზე საინტერე-  
სოა, ამ ორი სივრცის შერწყმის შესაძ-  
ლებლობის საკითხები.

იმ გარემოებამ, რომ აღნიშნული თემა-  
ტიკის შესწავლა დასავლეთში მიმდინარე-  
ობდა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავისე-  
ბური დაღი დაასვა მას. აღმოსავლეთი მი-  
მინეოდა ჩაკეტილ, ფუნდამენტურ, ტრადი-  
ციებში ჩაკირულ, არაპროგრესირებად  
კულტურულ სივრცედ, რომლისთვისაც  
უცხოა დემოკრატიული პრინციპები. ყოვე-  
ლივე ამან გამოიწვია აღადასავლელ ავ-  
ტორთა უარყოფითი რეაქცია. ზოგიერთ  
შემთხვევაში ამ ნაშრომების არსებობის  
ფაქტი უფრო საინტერესოა, ვიდრე მათი  
შინაარსი (მაგალითად, ა. ა. მაზრუ ნაშ-  
რომში „ისლამი და დასავლური ფასეუ-  
ლობები“ დასავლეთს ედავება თანამედრო-  
ვე დასავლური სამყაროს ისეთი ფუნ-  
დამენტური ფასეულობების პირველადობა-  
ში, როგორიცაა საარჩევნო უფლება, ქალ-  
თა უფლებები, სიტყვის თავისუფლება და  
სხვ. იგი აღნიშნავს, რომ „განსხვავებით  
სხვა მსოფლიო კულტურებისა და რელი-  
გიებისაგან (აյ მაზრუ, აღბათ, პირველ  
რიგში დასავლეთს გულისხმობს - თ. კ.),  
ისლამს გააჩნია განსაკუთრებული იმუნი-  
ტური ნაციონალიზმის, კომუნიზმის, რა-  
სიზმის, გენოციდის და აგრეთვე შიდსის  
გავრცელებისა და ძლიერი ნარკოტიკების  
მოხმარების წინააღმდეგ“<sup>2</sup>).

სხვა შემთხვევაში (ს. პ. ნასრი, „დასავ-  
ლურ და ისლამურ ცივილიზაციათ პრინ-  
ციპების შეჯახების შესახებ“) ვხვდებით  
თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის  
მძაფრ კრიტიკას. აღნიშნება, რომ მოდერ-  
ნიზმის მოძალების წინაშე დასავლელი  
ნაკლებს კარგავს, მაშინ როდესაც აღმო-

<sup>2</sup> Мазруи А. А. Исламские и западные цен-  
ности. // РЖ "Социальные и гуманитарные  
науки. Зарубежная литература," сер. 9, 1999,  
№ 3, с. 28.

სავლეთის მიერ დაგროვილი სულიერი სიმდიდრე განადგურების მუდმივი საფრთხის წინაშეა დასავლეთის მხრიდან. თანამედროვე მუსლიმს არ შეუძლია მუდმივად არ აწარმოოს ჯიპადი თავის თავსა და გარემომცველ სამყაროში ამ განბის დასაცავად. ამავე დროს ხდება ხაზგასმა იმ კულტურული გაორებისა, რომელსაც განიცდის მუსლიმი ასეთ ვითარებაში.<sup>3</sup>

თუ დავუძრუნდებით აღმოსავლეთ-დასავლეთის პრიბლებას, უნდა აღვნიშნოთ, რომ დასავლეთი, აღმოსავლეთისაგან განხვავებით, უფრო ადვილად აღიქმება თავისთავად ერთობად, რადგან ინტეგრირებული დასავლეთის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. აღმოსავლეთის ერთგვაროვან სივრცედ განხილვა კი სამართლიანად ექვემდებარება კრიტიკას. ვ. სტიდმანი სრულად უარყოფს დასავლეთ-აღმოსავლეთის დიქტომიას. მისი აზრით აღმოსავლეთზე, აზიაზე არ შეიძლება საუბარი, როგორც რაიმეგვარ ერთობაზე, რადგან იგი შედგება „სუბკონტინენტური ცივილიზაციებისაგან“: შორეულაღმოსავლური, ინდური და ისლამური.<sup>4</sup>

მიუხედავად ამისა, მაიც ხდება ძალიან პირობითი მახასიათებლების შერჩევა, რომელიც განასხვავებენ დასავლურ ან აღმოსავლურ კულტურებს.

დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურულ მახასიათებლებს შემდეგნაირად აჯგუფებენ:

დასავლეთი	აღმოსავლეთი
მატერიალიზმი	სულიერება
რაციონალურობა	ინტიუიტიურობა
ხელოვნურობა	ბუნებრიობა
ბუნების	ბუნებასთან
დამორჩილება	ადაპტაცია
ინდივიდუალიზმი	პიროვნულობა
სამართალი	დათრგუნვა
ნება	მორალი
ანთროპოცენტრიზმი	ფატალიზმი
დინამიზმი	თეოცენტრიზმი
თანასწორობა	ინერტულობა
	დაქვემდებარება

<sup>3</sup> Наср С. Х. О столкновении принципов западной и исламской цивилизаций. // Сравнительное изучение цивилизаций. Хрестоматия. М., 1998.

<sup>4</sup> Стидман Дж. Миф об Азии. // Сравнительное изучение цивилизаций. М., 1998, с. 261.

ისტორიული მახასიათებლები ასეთია:

დასავლეთი	აღმოსავლეთი
ისტორიზმი სწორხაზოვნი დრო	აისტორიზმი ციკლური დრო

რა თქმა უნდა, ძნელი წარმოსადგენია არათუ მთელ ცივილიზაციას, არამედ ერთ კონკრეტულ კულტურასაც კი იდეალურად მიესადაგოს ეს მახასიათებლები, მაგრამ თუ რომელიმე კულტურა მეტ-ნაკლებად პასუხობს ერთ ან მეორე „მოთხოვნებს“, „საშუალება გვეძლევა ტიპოლოგიურად განვსაზღვროთ ესა თუ ის კულტურა.

დასავლეთ-აღმოსავლეთის ოპოზიციის არსებობას ჩვენი ქვეყანა მთელი თავისი ისტორიის მანძილზე, შეიძლება ითქვას, საკუთარ ტყავზე გრძნობდა. ის ხან ერთი მხარის გავლენის სფეროში გადანაწილდებოდა, ხან მეორის. შესაბამისად, მან შეისისხლ ხორცა, ერთის მხრივ, ძალდატანების, მეორეს მხრივ კი - საკუთარი ინიციატივის გზით, ორივე სამყაროსათვის დამახასიათებელი კულტურული პარადიგმები.

როგორც ვხედავთ, ზემოთ მოყვანილ მახასიათებლებიდან ქართული კულტურა თუ ერთგან დასავლურობის მახასიათებელს აკმაყოფილებს, სხვაგან ასეთივე წარმატებით - აღმოსავლურისას, ხან კი არც ერთს და არც მეორეს.

თანამედროვე ეტაპზე, უახლესი პოლიტოლოგიური თეორიის თანახმად, მსოფლიო წესრიგის განმსაზღვრელი დიდ საზოგადოებათა - ცივილიზაციათა ურთიერთობა იქნება. აქედან გამომდინარე, აქტუალური განვითარებული ცივილიზაციური კუთვნილების გამორკვევა იმ კულტურებისათვის, რომლებიც ჯერჯერობით არც ერთ დიდ საზოგადოებაში არ არაან ინტერირებული, ვისი ცივილიზაციური კუთვნილება იცვლებოდა ისტორიის მანძილზე და ვინც, რაღაც მიზეზების გამო, განსაზღვრულ პერიოდში ჩართული იყო კულტურათა გარკვეულ, შესაძლოა შემთხვევით ერთობაში.

ტრადიციული და ინოვაციური კულტურები და ქართული კულტურა

ზემოთმოყვანილი მახასიათებლების გადა, კულტურებს ასხვავებენ კიდევ ერთი

საინტერესო ნიშნით - ტრადიციულობის და ინოვაციურობის თვალსაზრისით. ამ მონაკვეთში შევეცდებით განვსაზღვროთ ქალტურათა რომელ ტიპს შეიძლება მიეკუთვნოს ქართული ქულტურა, რაც საშუალებას მოგვცემს გამოვარკვიოთ, რომელ ცივილიზაციას შეიძლება მიეკუთვნოს ის, ან ვნახოთ, რომელი მათგანის მიმართ ამჟღავნებს მეტ მიღრეკილებას. მაგრამ ამისათვის ჯერ საჭიროა განვსაზღვროთ, რას ნიშნავს „ტრადიციული“ და „ინოვაციური“ ქულტურა, მანამდე კი თვითონ ცნებები „ტრადიცია“ და „ინოვაცია.“

ტრადიციის ქვეშ იგულისხმება სოციალური და ქულტურული მემკვიდრეობის ელემენტები, რომელებიც არა მხოლოდ გადაეცემან თაობიდან თაობას, არამედ ნარჩენდებიან ხანგრძლივი დროის. განმავლობაში, მრავალი თაობის ცხოვრების მანძილზე. ტრადიცია განსაზღვრავს არა მარტო იმას, რა გადაიცეს მემკვიდრეობით, არამედ იმასაც, თუ როგორ გადაიცეს იგრ. ეს ტერმინი გამოიყენება ქცევის წესებისა (სტრუქტურის) და ოწმენების ხასიათის თითქმის იდენტურ ფორმებში განმეორებადობის აღსაწერად და ასახსნელად. ინოვაციის ქვეშ კი იგულისხმება ახალი ტექნილოგიებისა და ქცევის ახალი მოდელის ფორმირების მექანიზმი. ინოვაციები ქმნიან წინაპირობას სოციოკულტურული ცვლილებებისათვის.

მეცნიერები, უმრავლეს შემთხვევაში, განასხვავებენ რა ქულტურათა ამ ორ ტიპს, პირველის ქვეშ გულისხმობენ არქაულ საზოგადოებებს ან ძველ ცივილიზაციებს, როგორც დასავლურ, ისე აღმოსავლურ ქულტურებს განვითარების კაპიტალიზმამდელ ეტაპზე. ჩვეულებრივ, ტრადიციულ საზოგადოებებს განსაზღვრავენ როგორც სტატიკურს, რომლისთვისაც დამანასიათებელია დიფერენციაციების, აგრეთვე ურბანიზაციის ნაკლები ხარისხი. პოლიტიკური თვალსაზრისით, ტრადიციულ საზოგადოებებს აღწერენ როგორც დამყარებულს „ტრადიციული“ ელიტის ძალაუფლებაზე, რომელიც მართავს ამა თუ იმ „ზეციური მანდატის“ საუზღველზე. ტრადიციული საზოგადოება შეზღუდული იყო ქულტურული პორიტონტებით, რომელსაც ტრადიცია ამყარებს. ამგვარად, ტერმინი „ტრადიციული“ გამოიყენება იმ საზოგადოებების აღსანიშნავად, რომელებიც განიცლიან შედარებით ნელ გარდაქმნებს, იმ საზოგადოე-

ბებს რომელთათვისაც დამახასიათებელია საქმიანობის ლეგიტიმაცია წარსულზე დაყრდნობით. პიროვნება ტრადიციულ ქულტურებში რეალიზდება მხოლოდ მისი რომელიმე კორპორაციისადმი მიკუთვნების შედეგად და უმრავლეს შემთხვევაში იგი მკაცრად არის მიმაგრებული ამა თუ იმ სოციალურ ჯგუფთან.

ინოვაციური ქულტურების ქვეშ, რომელსაც აგრეთვე „მოდერნისტულს“ და „ტექნოგენურსაც“ უწოდებენ, გულისხმობები საზოგადოებებს, რომელთათვის დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, თავისუფალი საბაზრო წარმოება, კონსტიტუციური საპარლამენტო დაწესებულებები და პირადი თავისუფლება. ეს ყოველივე კი დამახასიათებელია დასავლური ცივილიზაციისათვის. ზემოთ აღნიშნული ელემენტები შეიძლება ფუნქციონირებდნენ რომელიმე არადასავლურ საზოგადოებაში, რის გამოც ის აგრეთვე მოდერნისტულ საზოგადოებად მიიჩნევა. ინოვაციური თუ მოდერნისტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელია დიფერენციაციების, ურბანიზაციების, განათლების მაღალი დონე და ინფორმაციის საყოველთაობა. პოლიტიკური თვალსაზრისით, მოდერნისტული საზოგადოება ემყარება მასების ფართო მონაცილეობას, რომელიც არ დებულობს ლეგიტიმურობის ტრადიციულ პრინციპებს და მთავრობას აკარიებს პასუხისმგებლობას ეფექტურობის თვალსაზრისით. ინოვაციურ საზოგადოებას, ტრადიციულისაგან განსხვავებით, ახასიათებს ქულტურული დინამიკა და ორიენტაცია ცვალებადობებსა და ნოვაციებზე. მისი თავისებურება და ძირითადი ფასეულობა ინდივიდუალიზმი, რაც გულისხმობს პიროვნების თავისუფლებებისა და უფლებების პატივისცემას, აგრეთვე ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. პიროვნება განიხილება ყოველგვარი ერთობისაგან დამოუკიდებლად.

ჩვენის აზრით, ქულტურათა ტრადიციულობა ან ინოვაციურობა ძირითადად განისაზღვრება ქულტურათა ხასიათის თავისებურებით: ერთი მხრივ, მისი მიღრეკილებით ტრადიციათა შენარჩუნებისაკენ, წარსულისაკენ, მეორე მხრივ, მისწრაფებით სიახლისაკენ, ცვლილებებისაკენ. აღბათ, არ შეიძლება ტრადიციული ვეწოდოთ ყველა საზოგადოებას, რომელიც ინდუსტრიამდელ პერიოდს განეკუთვნება. მოდერნისტული საზოგადოების წარმოშო-

ბა დასავლეთში შესაძლებელი გახდა აქ მანამდე ინოვაციური საზოგადოების არსებობის გამო, დასავლეთში საზოგადოება ინოვაციური იყო კაპიტალიზმამდელ ხანაშიც. ამდენად, ალბათ, არ არის საჭირო ისტორიის დაყოფა ტრადიციული და ინოვაციური კულტურების ხანად. ისინი შეიძლება დროში თანაარსებობდნენ. გარდა ამისა, უნდა განვასხვავოთ ცნება „მოდერნისტული“, რომელიც გულისხმობს თანამედროვე ეტაპზე დასავლერ სამყაროში წარმოქმნილ კულტურულ ტიპს „ინოვაციური“ კულტურებისაგან, რაც არის კულტურის თვისება, ბუნება, იყოს ორიენტირებული სიახლეზე. აქედან გამომდინარე, ხშირად ტრადიციული საზოგადოებების მოდერნიზაცია უდრის ვესტერნიზაციას ინოვაციურობის გარეშე.

საქართველო თანამედროვე ეტაპზე ორიენტირებულია დასავლეთზე. საინტერესოა, ინოვაციურობის თვალსაზრისით რამდენად შეესაბამება ქართული კულტურის ხასიათი დასავლეთისას.

საზოგადოების ხასიათის კვლევის ერთერთი საუკეთესო საშუალებაა რელიგია. რელიგია ჩვენ და დასავლეთს გვაქვს საერთო, თუმცა თვისობრივად განსხვავებული. დასავლერი, განსაკუთრებით პროტესტანტული რელიგია უფრო დინამიკური აღმოჩნდა, ვიდრე მართლმადიდებლური და, მათ შორის, ქართული, რაც შეიძლება მივიჩნიოთ ქართული საზოგადოების მეტი კონსერვატიზმის მაჩვენებლად დასავლერთან შედარებით, თუმცა თვითონ არჩევანი, რომელიც ქართულმა საზოგადოებამ გააკეთა ქრისტიანობის სასარგებლოდ, უკვე დინამიკურობის მაჩვენებელია, რაც ნაკლებად ახასიათებს ტრადიციულ კულტურებს. დასავლერ საზოგადოებაში დინამიკურობის და ცვლილებების მაღალი ტემპის მაჩვენებელი იყო 60-იანი წწ. ახალგაზრდული მოძრაობა, რაც ჩეენთვის კონტრკულტურის სახელითაა ცნობილი. ეს არის წმინდა დასავლერი ფენომენი, რომელიც დამახასიათებელია ინოვაციური ტიპის კულტურისათვის. ტრადიციულ კულტურებში, მათი ბუნებიდან გამომდინარე, ასეთი მოვლენის წარმოქმნა თითქმის წარმოუდგენელია. ჩვენის აზრით, ლაშაგიორგისა და მისი ჯგუფის პროტესტის შინაარსი სწორედ კონტრკულტურა იყო. ასეთ შემთხვევაში ქართული კულტურა არ შეიძლება დავახასიათოთ როგორც ტრადიციული, რომელიც ამკვიდრებს მხო-

ლოდ იმას, რაც პასუხობს „ტრადიციების სულს.“

მიუხედავად ამისა, არც ქართული კულტურის სრულ ინოვაციურობაზე შეიძლება საუბარი. ქართულ კულტურაში, ინოვაციურისაგან განსხვავებით, ინდივიდი ყოველთვის განიხილება და მისი ორალიზება ხდება რომელიმე ვიწრო თუ ფართო ერთობაში ან რამდენიმე მათგანში ერთად.

ტრადიციულობისა და ინოვაციურობის თვალსაზრისით, ქართული კულტურა შეიძლება განვიხილოთ როგორც მარგინალური, ისევე როგორც მიღებულია დღეს მისი განხილვა ცივილიზაციური კუთვნილების თვალსაზრისით. მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ უნდა ყოფილიყო. საქართველომ, შეიძლება თქვას, დაკარგა ცივილიზაციური თანამომებები, რომელთაგან ზოგი საერთოდ გაქრო, ზოგმა კი განვითარების სხვა გზა განვლო საქართველოსგან განსხვავებული ისტორიული პირობების გამო.

რაც შეეხება საქართველოს მარგინალურ სტატუსს, ეს გარკვეული თვალსაზრისით, შეიძლება ხელსაყრელიც იყოს, რადგან ასეთ შემთხვევაში იმთავითვე იხსნება მძაფრი კულტურული გაორების საშიშროება, რასაც, ნასრის აზრით, ადგილი აქვს ირანის მოდერნიზირებად საზოგადოებაში.

ქართული საზოგადოების „დასავლურად“ დანახვის სურვილმა განაპირობა ის, რომ მოხდა ქართულსა და დასავლერ საზოგადოებებს შორის არსებული საერთო ნიშნების მნიშვნელობის გაზვიადება, მაგრამ, ამასთან ერთად, დაფიქსირებულია ის ძირეული განსხვავებებიც, რომლებზეც შევაჩერებთ თქვენს ყურადღებას.

როდესაც ვსაუბრობთ დასავლეთზე, ვგულისხმობთ პროტესტანტული (განსაკუთრებით პურიტანული) მსოფლმხედველობის მიერ განსაზღვრულ ცნობიერებას (ამით, რა თქმა უნდა, არ ვგულისხმობთ იმას, რომ თანამედროვე დასავლეთი მხოლოდ ამ ტრადიციას ემყარება, უდაოდ ძალიან მნიშვნელოვანია ანტიეკური მემკვიდრეობა და კათოლიკური სამყაროსათვის დამახასიათებელი თავისებურებანი). მისგან ჩვენ, პირველ რიგში, განგვასხვავებს ე.წ. „პატერნალისტური ცნობიერება“, რაც გულისხმობს ადამიანის მიერ საკუთარ კეთილდღეობაზე პასუხისმვებლობის დაკისრებას სხვაზე, მფარველზე - „პატრონზე“ („არაფერია უფრო არაეკროპული ან არა-

ციების  
რთული  
ე შეიძ-  
ხურაში,  
ნდივიდი  
რეალი-  
ფართო  
ერთად.  
ურობის  
ურა შე-  
სარგინა-  
ა დღეს  
კუთხი-  
ყოველ-  
ქართვე-  
ცივილი-  
გან ზო-  
განვითა-  
კლოსეან  
რობების  
მარგინა-  
ვალსაზ-  
კ იყოს,  
თვე იხს-  
ების სა-  
ადგილი  
ზოგადო-  
ასავლუ-  
რობა ის,  
ლურ სა-  
საერთო  
ება, მაგ-  
რულია ის  
მლებზეც  
ავლეთზე;  
1. (განსა-  
ლმშედვე-  
ბიერებას  
ის სმობდთ  
ეთი მხო-  
დაოდ მა-  
მემკიდ-  
როსათვის  
ი). მისგან  
უებს ე.წ.  
რაც გუ-  
უთარ ქე-  
ის დაქი-  
ტრონზე"  
ან არა-

დასავლური, ვიდრე ქარგი „პატრონის“ ოუ „მფარველის“ ძიება<sup>5</sup>).<sup>5</sup> უნდა აღინიშნოს, რომ ცხოვრებისადმი ასეთი პოზიცია მყა-  
რადაა ფესვგადგმული სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ყოფის სამ მნიშვნე-  
ლოვან სფეროში: 1. „პატრონი“ - სახელმ-  
წიფოს მფარველი, 2. სახელმწიფოს მმარ-  
თველი, როგორც ქვეყნის „პატრონი“ და 3. მშობელი, როგორც ცალკეული ინდივიდის „პატრონი.“

ეს ყველაფერი უკავშირდება ჩვენი კულტურის კიდევ ერთ ძირითად მახასიათებელს - „დედის ხაზს.“ ეს არის უპირობო სიყვარული, რომელსაც დამსახურება არ სჭირდება. „მამობრივი სიყვარულისა-  
გან“ (ტიპიურია დასავლეთისათვის) განსხვავებით, მშობელს შვილი ეყვარება და იზრუნებს მასზე, მიუხედავად მისი სიავეკარგისა. „დედობრივი სიყვარული ვრცელდება არა მხოლოდ მშობლებისა და შვილების ურთიერთობაზე, არამედ ნათესაობაზე, მე-  
გობრებზე და ორივე სქესს ახასიათებს.“<sup>6</sup> ეს, თავის მხრივ, განაპირობებს კიდევ მრავალ განსხვავებას დასავლური ცნობიერებისაგან: სამართლიანობის, ვალდებულების გრძნობის, ნებისყოფის განუვითარებლობას, უპასუხისმგებლობას, არაშრომის-მოყვარეობას, ნაწილობრივ არაპროფესიონალიზმს და მუდმივად მფარველის - „პატრონის“ ყოლის მოთხოვნილებას. ასე-  
ვე ვიწროა „დროითი პორიზონტიც“ - არ ხდება ცხოვრების ხანგრძლივი პერიოდის რაციონალური დაგეგმვა.

კანონი, რომელსაც დასავლურ ფასეულობათა სისტემაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი აღილი უჭირავს, საქართველო-მა დიდი პატივისცემის საგანი არ არის. იგი არ განიხილება, როგორც ყველა ადამიანის ნებაზე მაღლა მდგრმი კატეგორია. ამას ხელი შეუწყო კიდევ ერთმა, ასევე გამოკვეთილად არადასავლურმა, დამახასიათებელმა ნიშანმა - სწრაფვამ პერსონიულებისაკენ ხელისუფლების, პოსტის, რეფიმის, პარტიის ... და კანონისაც. შესაძლოა პერსონიულებულია აგრეთვე მოვალეობის აღმნიშვნელი სიტყვა - „უნდა“ რაც, ფაქტიურად, „სხვისი“ სურვი-

<sup>5</sup> ნიდა გ. შესავალი წერილი. // ჭკუა ვაისა-  
უნ. თბ., 1994, გვ. IV.

<sup>6</sup> ნიკარაბე გ. საქართველო და ხმელთაშე-  
აზე სპირეთი. კულტურლოგიური ნარკოვის  
და // კონფლიქტის აღტერნატივა, № 7-8,  
1999, გვ. 8.

ლის გამომხატველია, „სხვისი“ ნების, კანონის თავსმოხვევად აღიქმება და, ბუნებრივია, გაღიზიანებასა და ურჩობის სურ-  
ვილს იწვევს, მითუმეტეს ქართველებში, რადგან „თავნებობა ქართულ კულტურაში რეალურ და მნიშვნელოვან ღირებულებას შეადგენს.“<sup>7</sup>

შეიძლებოდა სხვა მაგალითებიც მოგვეშელიებინა, მაგრამ, ვფიქრობთ, ჩვენს მიერ ზემოთ მოყვანილი არგუმენტები განსაკუთრებით მნიშვნელოვან, ძირითად განსხვავებებზე მიუთითებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველო გარკვეულ მსგავსებას ამჟღავნებს (მნიშვნელოვან განსხვავებასთან ერთად) ხმელთაშუაზღვისპირულ (ევროპულ) კულტურებთან, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თანამედროვე დასავლური ცივილიზაციის სახის განსაზღვრაში ამ უკანასკნელს არ უთამაშია მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი. უფრო პირიქით, მან განიცადა გარკვეული ცვლილებები საერთო-ევროპულ სისტემაში ჩასართველად, თუმცა, რა თქმა უნდა, შეძნარჩუნა დანარჩენი დასავლეთისაგან განსხვავებული სპეციფიკური თავისებურებანი.

ის, რომ ქართული საზოგადოება არ არის დასავლური, არ ნიშნავს მის აღმოსავლურობას. ყოველივე ზემოთქმულის მიზანი იყო ის, რომ დაფიქსირდეს ქართული საზოგადოების დასავლურობის მტკიცების არარეალურობა და დაისვას კითხვა: - მაშრავა განაპირობებს ასეთ სწრაფვას დასავლეთისაკენ და ისიც არა მარტო დღეს, როდესაც ჩვენ ასე თუ ისე ვიცით, რას წარმოადგენს დასავლეთი, არამედ წარ-სულშიც, როცა პრინციპში არანაირი რეალური შეხება არ გვქონია მასთან?

### დასავლეთი და ქართული ცნობიერება

როდესაც ამ საკითხზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რელიგიური ფაქტორის მნიშვნელობა, თუმცა, ჩვენი აზრით, დასავლეთისაკენ მისწრაფება ქრისტიანობის მიღებამდე გაცილებით ადრე არსებობდა და სწორედ ამის შედეგი

<sup>7</sup> ნიგარაბე გ. პოლემიკური შენიშვნები ქართული კულტურის ზოგიერთი სოციალურ-ფილოგიური ასპექტის თაობაზე. // ჭკუა ვაისა-  
უნ. თბ., 1994, გვ. 61.

იყო კონკრეტული ფაქტი - IV საუკუნეში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება.

ახლა ვცალოთ გავარკვიოთ, რამ განაპირობა ამ მისწრაფების გაჩენა.

პირველ რიგში გავიხსნოთ ის, რომ ქართველური ტომების განსახლების პირველად ადგილად მცირე აზიას, ანუ შემდგომი ქართული სახელმწიფოების დასავლეთ მხარეს ვარაუდობენ. ქართველურ ტომთა ნაწილის აღმოსავლეთით გადაადგილების შემდგომ იქ კვლავ განაგრძობდნენ ცხოვრებას ქართველური და მათი მონათესავე ეთნიკური ჯგუფები. შესაძლოა, ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ ქართველების თავდაპირველი სივრცითო ორიენტიცია გეოგრაფიულად დასავლეთისაკენ იყო მიმართული, სადაც მათ ეგულებოდათ თავდაპირველი სამშობლო და ნათესავი. მეტიც, ზოგიერთი მკვლევარი გაცილებით ადრინდელ პერიოდში ქართველურ ტომებს ხმელთაშუაზღვისპირულ კულტურულ ერთობაში ჩართულს ხედავს (მაგრამ ეს მოსაზრებები ეხება იმ პერიოდს და იმ საკითხს, სადაც კატეგორიული ტონი გამართლებული არ არის). დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ქართველებმა ცნობიერ დონეზე დაივიწყეს პირველადი მიზეზი, რის გამოც იყო მისი მზერა მიმართული დასავლეთისაკენ, მაგრამ მიზეზის დავიწყებასთან ერთად ეს მიმართულება არ გამჭრალა (გასათვალისწინებელია გენეტიკური მეხსიერების მნიშვნელობის ფაქტორიც).

შემდგომ ეტაპზე ის მხარე, რომელიც ქართველის ცნობიერებაში აღიქმებოდა როგორც მონათესავე დასავლეთი (საპირისპირო მტრული აღმოსავლეთისა), განიცდის ბერძნული კულტურის მძლავრ გავლენას (კოლონიზაცია VIII-VI ს-ში). ამავე პერიოდში იგივე პროცესები მიმდინარეობს ჩვენთანაც, რაც განაპირობებს კულტურული ერთიანობის გრძნობის შენარჩუნებას და უფრო ღრმად დაახლოებას დასავლეთთან (ამ შემთხვევაში ეს ცნება გამოიყენება არა თანამედროვე პოლიტიკურ-გეოგრაფიული ან ცივილიზაციური გაგებით, არამედ ქართველთა განსახლების ადგილისათვის შედარებით-გეოგრაფიული სივრცის მნიშვნელობით). რომაულ პერიოდში ეს ორიენტაცია შენარჩუნებულ იქნა. არჩევანის გაკეთება რომის სასარგებ-

ლოდ განაპირობა არა რომთან კულტურული ერთობის ან ნათესაობის განცდამ, არამედ იმან, რომ ამ პერიოდში გრძელდება ადრევე დაწყებული ელინიზაციის პროცესი, რაც ქართველებისათვის არც უცხოიყოდა არც მიუღებელი, ფაქტიურად ქართველებისათვის ვითარება არ შეცვლილა, ყოველ შემთხვევაში საქართველო მჭიდრო ურთიერთობას არ წყვეტს მცირე აზიასთან.

IV საუკუნიდან მცირე აზიაში ბიზანტიური პერიოდი იწყება. ბიზანტია თავისთავად, როგორც კულტურული ფენომენი, მეტად საინტერესოა, მაგრამ ამჯერად უნდა შემოვიფარგლოთ იმის თქმით, რომ ბიზანტიური პერიოდის განმავლობაში კულტურული სიტუაციის მკვეთრი ცვლილება მცირე აზიაში არ მომხდარა. აյ განსაკუთრებით მძლავრობენ მცირეაზიული და ბერძნული ელემენტები რომაულის შერევით, ასე რომ, გეოგრაფიული დასავლეთის ნათესაური აღქმა გრძელდება და ამ პერიოდში იგი ყველაზე აღვილი დასანახია. ასე გრძელდება ბიზანტიის დაცემასა და მცირე აზიაში ოსმალების გაბატონებამდე.

ამ საკითხთან დაკავშირებით მეტად საინტერესოდ გვეჩენება ერთი წყარო, რომელზეც მოკლედ შევჩერდებით. ბიზანტია-საქართველოს კულტურული ნათესაობის დამადასტურებელი შეიძლება მრავალგვარი იყოს: არქიტექტურული თუ ფერწერული სტილი, ჰიმნოგრაფიული და ჰაგიოგრაფიული ძეგლები და სხვ. მაგრამ ძალიან იშვიათია ისეთი ტექსტები, სადაც აშკარად ჩანს ამ სიახლოების გაცნობიერება.

ცნობილია 554 წელს ბიზანტიიელი სარდლების მიერ ლაზიკის მეუე გუბაზის მკვლელობის ფაქტი. VI ს. ბიზანტიიელ ავტორს - აგათია სქოლასტიკოსს აღწერილი აქვს ამ მკვლელობის შემდეგ მოწვეული სახალხო კრების მსვლელობა, სადაც მიმდინარეობდა დავა ლაზიკის შემდგომი პოლიტიკური ორიენტაციის საკითხზე. ქრისის ტექსტიდან ცნობილია ორი გამომსვლელის - აიეტისა და ფარტაძის მიერ წარმოოქმული სიტყვები, რომლებსაც ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ქართული ორატორული ხელოვნების შედევრებს. ამჯერად გვაინტერესებს ფარტაძის სიტყვა, რომელიც ჩვენთვის მეტად საინტერესო მასალას შეიცავს.

ფარტაძის სიტყვის წარმოოქმის შემდეგ გადაწყდა ბიზანტიასთან კაცშირის შენარჩუნება. შევჩერდებით მის ძირითად

<sup>8</sup> გორდეზიანი რ. ბერძნული ცივილიზაცია. ნაკვეთი I. თბ., 1988.

ურუ-  
არა-  
დება  
ოცე-  
უცხო  
ქარ-  
ილა,  
ყდრო  
ხიას-  
ნტი-  
სთა-  
მე-  
უნდა  
იზან-  
ზტუ-  
ლება  
კუთ-  
ბერ-  
ევით,  
ს ნა-  
ჰერი-  
ახია.  
ა და  
მდე.  
შ სა-  
რო-  
ნტია-  
ობის  
უგვა-  
ერუ-  
კიოგ-  
ლიან  
აშკა-  
ა.  
იელი  
საზის  
ო ავ-  
ერი-  
უვეუ-  
ადაც  
კომი  
ჩხზე.  
ი გა-  
ს მი-  
ებსაც  
ული  
ა. ამ-  
ტყვა,  
რესო

არგუმენტებზე და მათ მიმღევრობაზეც, რაც არანაკლებ საინტერესოდ გვეჩენება:

არგუმენტი 1. „სპარსელების მხარეზე გადასვლა მაიც არ იქნება სასარგებლო: არავინ არ მიიჩნევს საჭიროდ მივიღოთ და გავიზიაროთ ის აზრი, თუ იმათ (რომაელებმა) ჩაიდინეს უკანონობა, აუცილებელი იყოს ჩვენც გამოვეთხოვოთ მშობლიურ წესებს (ხაზგასმა აქაც და ქვევითაც ჩემია - თ.კ.) და იმ ვერაგებს კა არ გამოუცხადოთ ჩვენი გულისწყრომა, არამედ თვითონ მოვიპოვოთ ამგვარივე სახელი.“<sup>9</sup>

არგუმენტი 2. „უმართებულო იქნებოდა, ჩემის აზრით, და ამასთან ერთად მიზანშეუწონელიც ერთი ან ორი კაცის დანაშაულის გამო შევსწყრომოდით საზოგადოებრივ კანონებს, რომელთა დაცვა აგვილია ჩვენს თავზე, და ასე იოლად შეგვეცვალა მთელი სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება, რომელთაც მშვენივრად შევეგუეთ.“<sup>10</sup>

არგუმენტი 3. „ყველაზე უფრო უწმინდური საქმე ის იქნება, რომ ასეთი საქციელით (სპარსელებთან და კავშირებით) ჩვენ შევხდალავთ მართლმორწმუნეობას და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლოებას.“<sup>11</sup>

არგუმენტი 4. სპარსელებმა ნებაც რომ დაგვრთონ ვიცხოვროთ ჩვენი საზოგადოებრივი და რელიგიური კანონებით, „სულ ერთია - მაიც არ ექნებათ ჩვენს მიმართ კეთილი განწყობილება და ნდობა: მათი მოპყრობა ჩვენდამი ვერაგული და არასაიმედო იქნება და მარტო სარგებლიანობის თვალსაზრისით გამოანგარიშებული. ადამიანები ვერ იწყნარებენ ხოლმე აზრთა სხვადასხვაობას და მაშინაც კი, როდესაც გაჭირვება ან რაიმე, მოპირდაპირის მიერ ჩადენილი კეთილი საქმე აიძულებს მათ კავშირში ყოფნას, მათ შორის ნდობა არასოდეს არ არის მტკიცე, ეს შეიძლება იყოს მხოლოდ მაშინ, როდესაც მათ შორის აზრთა ერთიანობა.“<sup>12</sup>

არგუმენტი 5. „... დავუშვათ რომ სპარსელები თავისი ხასიათით სანდონი და მტკიცენი არიან და ჩვენთან დადგებულ პირობებს ყოველთვის შეასრულებენ... მაიც ჩვენი ძალები საკმარისი არ იქნება იმისა-

თვის, რომ ჩვენი განზრახვა სისრულეში მოვიყვანოთ და სპარსელების მხარეზე გადავიდეთ. როგორ შევძლებოთ ჩვენ სხვების მხარეზე გადასვლას, როდესაც თავზე გვადგანან რომაელები.“<sup>13</sup>

როგორც ვხედავთ, ფარტაძის მიერ წამოყენებულ არგუმენტებში ხშირად ვხვდებით: „მშობლიური წესები“, „საზოგადოებრივი კანონები“, „სახელმწიფო წყობილება და ცხოვრება.“ ყოველივე ამას თანამედროვე ადამიანი ერთი სიტყვით აღნიშნავდა - კულტურა. როგორც ჩანს, ლაზიკას ის ბიზანტიისთან მსგავსი პქონია. სწორედ კულტურული განსხვავება მიაჩნია ფარტაძის სპარსელებთან კავშირის წარუმატებლობის წინაპირობად (არგ. 4). ფარტაძის სიტყვაში ბევრია ორატორული ნიუანსი, გამოზნული მსმენელის დასარწმუნებლად, მაგრამ არგუმენტების თანმიმდევრობა მაიც უდაოდ საყურადღებოა. მშობლიური წესები, ბიზანტიისთან საერთო საზოგადოებრივი კანონები (რომელთაც მშვენივრად შეეგუენ), რელიგიური ფაქტორი, სპარსული კულტურის უცხოობა, და ბოლოს, გამოუვალი მდგომარეობა - „თავზე გვადგანან რომაელები“ (ამ არცუ ისე უმნიშვნელო ფაქტორის ბოლოში მოქცევა, აღბათ, ფარტაძის თავისი პოზიციისათვის მომგებიანი ვითარების შესაქმნელად დასჭირდა).

რეალური საფუძველი ქართულ ცნობიერებაში დასავლეთის მონათესავედ აღქმისა გაქრა მას შემდეგ, რაც დაეცა ბიზანტიის იმპერია, რომელიც განასახიერებდა კიდეც „მონათესავე დასავლეთს.“ საქართველოს იმ სივრცესთან, რომლის წიაღშიც ჩამოყალიბდა დღევანდელი დასავლური საზოგადოება, ფაქტიურად, არავითარი კავშირი არ პქონია, თუ არ ჩავთვლით ჯვარისნული ომების პერიოდში ასეთი კავშირის დამყარების არშემდგარ შესაძლებლობას. მიუხედავად ასეთი უცხოობისა, ქართულ ცნობიერებაში მაიც ჩამოყალიბდა უტოპიური სტერეოტიპი „ახლობელი დასავლეთისა.“ საინტერესოდ გვეჩენება ერთი მონაკვეთი გიორგი მთაწმინდელის თხზულებიდან „ცხორება ითანესი და ეფთვმძესი“: „... განიზრახა ნეტარმან მამამან ჩვენმან იოვანე, რათა აღიღოს ძე თვისი და რავდენნიმე მოწაფენი და ივლტოდის სპანიად ... რამეთუ ასმიოდა, ვითარმედ ქართველი არა-მცირედნი ნათე-

<sup>9</sup> ქართული მჭერმეტყველება. მეგლები და მასალები. თბ., 1958, გვ. 111.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>12</sup> იქვე, გვ. 113.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 114.

სავნი და ერნი მკვიდრ არიან მუნ.<sup>14</sup> ასეთი გადაწყვეტილება, შესაძლოა, ბიზანტიისათვის აღტერნატივის გამოძებნის სურვილით იყო ნაკარნაზევი, რაც სავსებით გასაგებია, თუ გავითვალისწინებთ იმ პერიოდში საქართველო-ბიზანტიას შორის პულტურულ-პოლიტიკურ სფეროში არსებულ დაძაბულ ვითარებას. თვითონ რწმენას, რომ ქართველებს „ნათესავნი“ პყავთ ესპანეთში, როგორც ჩანს, ანტიკური ტრადიცია უმყარებლა საფუძველს.

შემდგომ პერიოდში ჩვენ ვხედავთ მუდმივ სწრაფვას რეალურად უცხო და უცნობი დასავლეთისაკენ. XVIII ს. ბოლოს რუსეთთან დაკავშირება იყო უკანასკნელი გზა, როდესაც ყველა სხვა შესაძლებელი და უფრო სასურველი ვარიანტი ევროპასთან პირდაპირი დაკავშირებისა კრახით დამთავრდა (ასეთი ფაქტი საქართველოს ისტორიაში, შეიძლება ითქვას, უკვე მეორედ მოხდა: ამავე საუკუნის დასაწყისში სულხან-საბა ორბელიანის ევროპაში წარუმატებული მოვზაურობის შემდეგ გადასახლდა ვახტანგ VI მთელი თავისი ამალით რუსეთში).

თანამედროვე ეტაპზე, როდესაც კვლავ დადგა არჩევანის გაქტების აუცილებლობა, ვხედავთ იმას, რაც სავსებით მოსალოდნელი იყო - მზერა კვლავ ფასეულობრივი სისტემით, ცხოვრების წესით და ცნობიერებით უცხო დასავლეთისაკენა მიმართული, რამაც გამოიწვია „თავად საზოგადოების რეზისტენტულობა“ იმ ცვლილებებისადმი, რომლისკენაც დექლარირებული სახით თითქოს მიისწრაფვის.<sup>15</sup>

დასავლეთისადმი, როგორც მონათესავე სივრცისადმი განწყობის ჩამოყალიბების ზემოხსენებული მიზეზი არა ერთადერთი, არამედ ერთ-ერთი შეიძლება იყოს. ამასთან, უეჭველად, მოქმედებდა ის ფაქტორიც, რომ რუსეთთან ან აღმოსავლურ სამყაროსთან (რომელთანაც ბევრი რამ საერთო გავაჩინია) მჭიდრო ურთიერთობის პირობებში აშკარად და მძაფრად საგრძნობი გახდა მათთან არაიდენტურობა, მითუმეტეს, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ მტერი მუდამ აღმოსავლეთიდან

მოდიოდა და არც რუსეთისაგან გვახსოვს ბევრი სიკეთე.

\* \* \*

ყოველივე ზემოთქმული, ანუ ის, რომ ქართულ კულტურას დღესდღეობით ძნელად თუ მოვათავსებთ დასავლურ სივრცეში, არ ნიშნავს იმას, რომ პერსპექტივაში ჩვენთვის ესოდენ სასურველი ერთობა განუხორციელებელია ან, განხორციელების შემთხვევაში, ჩვენს თვითმყოფადობას საფრთხე ელის. სულაც არა. თუ ადრე მიაჩნდათ, რომ „მოდერნიზაცია სხვადასხვა ინსტიტუციონალურ სფეროში დამოკიდებულია ყველა ტრადიციული ელემენტის ნგრევის ხარისხზე ან ტოლფასია ასეთი ნგრევისა,“ ახლა პირიქით, ფიქრობენ, რომ „წარმატებული მოდერნიზაცია შეიძლება წარიმართოს ტრადიციული რეგულაციის ზოგიერთ ელემენტზე დაყრდნობით“ და რომ „თანამდებროვე“ საზოგადოების მყარი ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული შესაბამისი ტრადიციული წანამდგრების არსებობაზე, მათ გამოყენებასა და თანამდებროვე სისტემაში ჩართვაზე.“<sup>16</sup> ასეთი წარმატებული მოდერნიზაციის მაგალითად ხშირად, სავსებით სამართლიანად, მოპყავთ იაპონია. საქართველოს, განსხვავებით იაპონიისაგან, რომელსაც, მიუხედავდ უდიდესი სხვაობისა, რაღაც „მონათესავე სული“ გააჩნდა დასავლეთთან (შრომისმოყვარება, დისკიპლინა, ასკეტურობა, ნებისყოფის განვითარება), ნაკლებად აქვს „ტრადიციული წანამდგრები“, რომლებიც გაადვილებდნენ დასავლური ცივილიზაციის მიღწევების გადმონერებას ჩვენს ნიადაგზე. ეს კი სხვა არაფრის მანიშნებლია, თუ არა იმისა, რომ ქართულ კულტურას გაცილებით მეტი „მრომა“ მოუწევს დასავლურ სამყაროში ინტეგრირებისათვის, რაც გამოიხატება მეტი ადაპტაციური მექანიზმების გამომუშავებასა და, ა. ტოინბის ენით რომ ვთქვათ, წამოჭრილ „გამოწვევებზე“ სწრაფი და უფექტური „პასუხების“ მოძებნაში. ეს, შესაძლოა, ძალიან სასარგებლო აღმოჩნდეს ერთგვარად „გაზარმაცებული“ ქართული საზოგადოებისათვის, რომელიც საუკუნეების მანძილზე არა იმდენად საკუთარი ძალების კონცენტრირებით იყო დაკავებული, რამდენადაც ყოვლისშემძლე მფარველის ძიებით.

<sup>14</sup> გიორგი მთაწმინდელი. ცხორება იოანესი და ეფთვიმესი. // ძევლი ქართული ლიტერატურის ძეგლები. თბ., 1978, გვ. 234.

<sup>15</sup> ჩიტაშვილი მ. ღირებულებათა სისტემა საქართველოში. 1996. // ახალი პარადიგმები, № 1, 1998, გვ. 116.

<sup>16</sup> Эйзенштадт Ш. О неопределенности термина "традиция." // Сравнительное изучение цивилизаций. Хрестоматия. М., 1998, с. 239.